

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

13 სექტემბერი 2019 წელი

14 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გიორგი ივანიაძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

**მოწვეული პირი :**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თამჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - სალომე ფახურიძე.

**დღის წესრიგი**

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა - ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ .

მომხს: გელა ჩიკვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაძე

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი-„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არის ხარვეზები, რომელიც საჭიროებს შესწავლასა და მასში ცვლილებების შეტანას, ამიტომ კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, აღნიშნული საკითხი დამუშავდეს და და ამის შემდგომ გადაეცეს საკრებულოს ბიუროს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების,

გამოყენების, აღრიცხვა - ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია დამუშავდეს და საბოლოო ჩამოყალიბებული სახით გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

/დანართი: 2/

### მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში სიტყვა „გამგებელი“ უნდა ჩაანაცვლდეს სიტყვა „მერი-“,თ, ასევე დასახვეწია წოდებების მინიჭების კრიტერიუმები. მოგეხსენებათ ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებია: „საპატოო ვანელი,“ „ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო მოქალაქე“, ვანის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწე“. „საპატოო ვანელის“ წოდება ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, აღნიშნული წოდება პიროვნებას უნდა ენიჭებოდეს რაიონის წინაშე მისი დამსახურების მიხედვით და მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატუსი არ უნდა გავაუბრალოთ, „საპატოო ვანელის წოდების“ მინიჭება განსაკუთრებულ დამოკიდებულება საჭიროებს. კონკრეტულ სფეროში მოღვაწე გამორჩეული პიროვნებისთვის კი შეიძლება ცალკე წოდება შემოვიღოთ.

მნიშვნელოვანია გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწე ვანელებისთვის წოდების მინიჭების საკითხი, მოგეხსენებათ ჩვენ გყავს ბუმბერაზი პოეტი „გალაკტიონ ტაბიძე“ ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი-კალისტრატე ცინცაძე და ა.შ. ასეთი გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწეებისთვის უნდა შემოვიღოთ ცალკე წოდება. გამომდინარე აქედან დადგენილება ითვალისწინებს გარკვეული ცვლილებებს, უმჯობესია მისი ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი დადგენილების პროექტის მიღება. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი ითვალისწინებს, მსჯელობას, დამუშავებას კომისიის წევრების მხრიდან, შესაბამისად კომისიიმ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ წარმოდგენილი საკითხი

დამუშავებულიყო და ახალი დადგენილების პროექტი წარმოდგენილიყო საკრებულოს ბიუროს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია დამუშავდეს, ძალადაკარგულად გამოცხადდეს და ახალი დადგენილების პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

**/დანართი: 3/**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაძე**

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე